

თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული  
უძრავი ქონების სარეგისტრაციო მონაცემების დაზუსტების შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წარდგენილი იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში თვითმმართველობის საკუთრებაში რეგისტრირებული ქონების, კერძოდ: სკვერი მდებარე ირ. აბაშიძის გამ. N13 სახლის ჩრდილოეთით, ფართობი - 579.0 კვ.მ (ამონაწერი N03.01.03.485) დაზუსტებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი.

2. სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურის ქონების რეგისტრაციის განყოფილების წამყვან სპეციალისტს თეიმურაზ ერამეს (პირადი N60001079086).

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის  
მოვალეობის შემსრულებელი

ნ.მიქიაშვილი